

რბილი სამართალი, როგორც კორპორაციული მართვის მონესრიგების თანამედროვე ევროპული მეთოდი

დავით დოლიძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.
კორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
მონვეული სპეციალისტი.

საკვანძო სიტყვები: კოდექსი, დამორჩილება, განმარტება

რბილი სამართალი, მისი წარმოშობა და განვითარება

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ რბილი სამართლის როლი თანამედროვე საკორპორაციო სამართალში ძალზე დიდია და ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კორპორაციულ მართვასთან მიმართებით იძენს.¹ დღეისათვის კორპორაციულ მართვაში რბილი სამართლის ცნების ქვეშ ძირითადად კორპორაციული მართვის კოდექსები იგულისხმება. ისინი ემყარება კორპორაციული მართვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და, შესაბამისად, რბილი სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.²

ამდენად, რბილი სამართალი არის კორპორაციული მართვის იმ პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც მონო-

1 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 181. ასევე იხ. მახარობლიშვილი გ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, გვ. 193.

2 მახარობლიშვილი გ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, გვ. 193.

დავით დოლიძე

ამავე წელს საფრანგეთი გვევლინება კონტინენტური ევროპის პირველ სახელმწიფოდ, რომელიც ქმნის მსგავსი ტიპის კოდექსს.*

კორპორაციული მართვის სტანდარტების გლობალიზაციის მესამე ფაზა 1997-2000 წლებში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე კონტინენტური ევროპის კიდევ უფრო მეტი სახელმწიფო ნერგავს კორპორაციული მართვის კოდექსებს. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველი ჰოლანდიური,* ბელგიური,* გერმანული* და სხვა სახელმწიფოთა კოდექსები.

მეოთხე ფაზის ფარგლებში „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (OECD), „შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID), „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის“ (EBRD) და „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის“ (IFC, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილია) ზეგავლენის საფუძველზე აქტიურად დაიწყო კორპორაციული მართვის სტანდარტების შემუშავება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.¹¹ კერძოდ, 2002 წელს

კორპორაციული მართვის კოდექსები მიიღეს პოლონეთსა და რუსეთში. მოგვიანებით კი კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველომაც მიიღო.*

ამდენად, კორპორაციული მართვის კოდექსების შექმნა 1992 წლიდან დაიწყო და ეს პროცესი კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს.*

კორპორაციული მართვის კოდექსების ფუნქცია და სამართლებრივი მნიშვნელობა

გერმანია

გერმანიის კორპორაციული მართვის პირველი კოდექსი (DCGK), 2002 წელს შეიქმნა. აღნიშნული დოკუმენტი შეიმუშავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში 2001 წელს შექმნილმა „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის სამთავრობო კომისიამ.“*

კოდექსის დღეისათვის მოქმედი რედაქცია შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გერმანული (ფრანქფურტის) საფონდო ბირჟის ლისტინგში რეგისტრირებულ ყველა სააქციო საზოგადოებას.¹² კოდექსის შინაარსთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ის შეიცავს რეკომენდაციებს (Emp-

* საფრანგეთში 1995 წელს საფრანგეთის დამსაქმებელთა ასოციაციის (CNPF – Conseil National du Patronat Français) და კერძო ბიზნეს ასოციაციების (AFEP – Association Française des Entreprises Privées) მიერ იქმნება პარიზის საფონდო ბირჟაზე განთავსებულ კომპანიათა დირექტორთა საბჭოს ქცევის წესები, რომელიც „Vienot I Report“ სახელწოდებითაა ცნობილი. იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=42

* ჰოლანდიაში კორპორაციული მართვის კოდექსის პირველ გამოვლინებას „Peters Report & Recommendations, Corporate governance in the Netherlands“ წარმოადგენს და ის 1997 წლით თარიღდება. იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=85

* ბელგიაში კორპორაციული მართვის კოდექსის ერთ-ერთი პირველი გამოვლინებაა „Corporate Governance for Belgian listed companies 1998“ (The Cardon Report). იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=14

* გერმანიაში 2000 წელს იქნა მიღებული „კორპორაციული მართვის წესები გერმანულ კვოტირებულ კომპანიათათვის“. აღნიშნული წესები მოქმედებდა მხოლოდ ფრანქფურტის საფონდო ბირჟაზე განწესებულ ორგანიზაციათა მიმართ. მოგვიანებით კი მიღებულ იქნა „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი“ (DCGK). იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=46

11 Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148.

* 2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის“ (IFC) მხარდაჭერით მიღებულ იქნა „კორპორაციული მართვის კოდექსი“ კომერციული ბანკებისათვის.

* სახელმწიფოები აქტიურად მუშაობენ კორპორაციული მართვის კოდექსების დახვეწის კუთხით. სწორედ ამიტომაც, რომ მაგ. გერმანია, გაერთიანებული სამეფო და ა.შ. გარკვეული პერიოდულობით მუდმივად გამოსცემენ კორპორაციული მართვის კოდექსების განახლებულ რედაქციებს. იხ. http://www.ecgi.org/codes/all_codes.php

* აღნიშნული კომისია მოქმედია, რამეთუ ის გარკვეული პერიოდულობით მუდმივად გვთავაზობს კოდექსის განახლებულ რედაქციებს. კომისიის შესახებ დეტალურად იხ. <http://www.dcgk.de/en/commission.html>

12 German Corporate Governance Code (amended and changes), Berlin, 2015. p.1. <http://www.dcgk.de/en/code.html>

fehlungen), რომლებიც მიისწრაფიან, დანერგონ კორპორაციული მართვის პრაქტიკის საუკეთესო სტანდარტები სააქციო საზოგადოების საორგანიზაციო საკითხებთან, ასევე გამგეობისა (Vorstand) და სამეთვალყურეო საბჭოს (Aufsichtsrat) საქმიანობასთან დაკავშირებით; წინადადებებს (Anregungen), რომელთაც სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია, ეფუძნებიან რა „დაემორჩილე ან განმარტეს“ პრინციპს.¹³

იურიდიულ ლიტერატურაში გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის ორ ძირითად დანიშნულებას აღნიშნავენ. კერძოდ, პირველი არის კოდექსის მცდელობა, უცხოელ ინვესტორებს გააცნოს გერმანულ საკორპორაციო სამართალში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული დებულებები, ხოლო მეორე საკანონმდებლო დონეზე დადგენილი ნორმატიული ჩარჩოს თვითრეგულირებადი წესებით შევსებაში გამოიხატება.¹⁴ აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ საინტერესოა გერმანული საკორპორაციო სამართლისათვის დამახასიათებელი იმ თავისებურებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც აქ ერთგვარად სახეზეა საკანონმდებლო ბმა გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსსა და „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანიის კანონს (Aktiengesetz 1965) შორის.¹⁵ კერძოდ, „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, მართალია, გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემული რეკომენდაციები და წინადადებები სავალდებულო ძალის მქონე არ არის, თუმცა მათი უარყოფა

სააქციო საზოგადოებათა მხრიდან განმარტებული და გამხელილი უნდა იყოს ე.წ. „ყოველწლიური შესაბამისობის ანგარიშებში (დეკლარაციებში).“¹⁶ სწორედ ამიტომაც, რომ უმსხვილესი გერმანული კორპორაციები ყოველწლიურად აქვეყნებენ გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშებს.¹⁷

ამდენად, გერმანიაში „დაემორჩილე ან განმარტე“ პრინციპი კორპორაციათა ვალდებულებად მიიჩნევა, კორპორაციული მართვის კოდექსი კი სააქციო კანონის საფუძველზე მოქმედებს.

სტატისტიკურად კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის სტანდარტი გერმანიაში საკმაოდ მაღალია. ამას მოწმობს „ბერლინის კორპორაციული მართვის ცენტრის“ (BCCG) მიერ შემუშავებული „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციებისა და წინადადებების გერმანულ სააქციო საზოგადოებათა მიერ გაზიარების შესახებ ანგარიშები“ (Kodex Report).

აღნიშნული ანგარიშების მიხედვით 2009 წელს ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე გერმანული საფონდო ინდექსის (DAX) ქვეშ მოქმედმა კორპორაციებმა* გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციების 94.9% და წინადადებების 86.1% გაიზიარეს.¹⁸ 2010 წელს კომპანიათა მიერ კოდექსის რეკო-

13 Merket H., 2013. Germany Internal and external corporate governance. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 523.
 14 Merket H., 2013. Germany Internal and external corporate governance. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 523.
 15 დოლიძე დ., 2015. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობა კორპორაციულ მართვაში. მართლმსაჯულება და კანონი, №5, გვ. 139.

16 Aktiengesetz Deutschland (geändert und veränderungen), Berlin, 1965. §161. <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/>
 17 დოლიძე დ., 2015. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობა კორპორაციულ მართვაში. მართლმსაჯულება და კანონი, №5, გვ. 140.
 * აღსანიშნავია, რომ გერმანიაში, (DAX) საფონდო ინდექსის გარდა, ასევე მოქმედებს შემდეგი საფონდო ინდექსები: (TecDAX, MDAX, SDAX). აღნიშნული ინდექსების ქვეშ განვსწავლავთ არიან ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე მოქმედი სხვადასხვა სიდიდის კომპანიები. წინამდებარე კვლევისათვის სახელმძღვანელოდ კონკრეტულად (DAX) ინდექსი იქნა არჩეული, რამეთუ სწორედ მის ქვეშ მოქმედებს გერმანიის 30 უმსხვილესი სააქციო საზოგადოება. დეტალურად იხ. <http://www.boerse.de/dax-trading/Erklaerung-DAX-MDAX-und-TecDAX/wissen>
 18 Werder A. v., Talaulicar T., 2009. Kodex Report 2009: Die Akzeptanz der Empfehlungen und Anregungen des Deutschen Corporate Governance Kodex. Der Betrieb Heft 14 vom 3. 4. II 62. S. 689.

მენდაციათა 96.3% და წინადადებათა 85.4% იქნა მიღებული.¹⁹

კორპორაციული მართვის კოდექსთან პოზიტიური დამოკიდებულება გერმანიაში არც ბოლო წლების მანძილზე შეცვლილა. მაგალითად, 2013 წელს კოდექსის რეკომენდაციების 95.8% და წინადადებების 76.7% იქნა გაზიარებული.²⁰ ბოლოს მსგავსი ანგარიში 2014 წელს გამოქვეყნდა და აღნიშნული ტენდენციის მკვეთრი ცვლილება არც ამჯერად შეინიშნება. კერძოდ, გერმანულ უმსხვილეს კორპორაციათა მიერ 2014 წლის მონაცემებით გაზიარებულ იქნა კოდექსის რეკომენდაციათა 91.8% და წინადადებათა 81.3%.²¹

ამდენად, როგორც ვხედავთ, გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი წარმოადგენს სამთავრობო დონეზე შემუშავებულ დოკუმენტს, რომელსაც, საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე, თანამედროვე გერმანული კორპორაციული მართვის სისტემაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. მიუხედავად კოდექსის არასავალდებულო ხასიათისა, მასში მოცემული დებულებები მათი თვისებრიობის გამო კომპანიათათვის, ფაქტობრივად, სავალდებულოდ იქცევა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს დებულებები, საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებათათვის იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ კორპორაციების მიერ ნებაყოფლობით ხდება მათი პრაქტიკაში დანერგვა, რის შემდეგადაც ისინი სავალდებულო ხასიათს იძენენ.

19 Werder A. v., 2010. Kodex Report 2010: Die Akzeptanz der Empfehlungen und Anregungen des Deutschen Corporate Governance Kodex. Der Betrieb, Nr. 16, S. 854.

20 Werder A. v., 2013. Corporate Governance Report 2013: Abweichungskultur und Unabhängigkeit Lichte der Akzeptanz und Anwendung des aktuellen DCGK. Der Betrieb, Nr. 17, S. 886.

21 Werder A. v., Bartz J., 2014. Corporate Governance Report 2014: Erklärte Akzeptanz des Kodex und tatsächliche Anwendung bei Corstandsvergütung und Unabhängigkeit des Aufsichtsrats. Der Betrieb, Nr. 17, S. 907.

გაერთიანებული სამეფო

დიდ ბრიტანეთში დღეისათვის მოქმედებს „ფინანსური ანგარიშგების საბჭოს“ (Financial Reporting Council) მიერ 2012 წელს შექმნილი „გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი“, რომელიც 2016 წელს ახალი რედაქციით გამოიცა. დოკუმენტი აწესებს კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებს ისეთ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ბორდის მმართველობა, ხელმძღვანელობის ეფექტურობა, ანაზღაურებისა და ანგარიშგების საკითხები, ასევე აქციონერებს შორის ურთიერთობა.²²

ბრიტანულ იურიდიული ლიტერატურაში გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი ბრიტანული კორპორაციული მართვის მომწესრიგებელ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ მიიჩნევა.²³ გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ კომპანიებზე, რომელთა აქციებიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში (LSE).²⁴

ბრიტანული კორპორაციული მართვის კოდექსის ძირითადი მოთხოვნები დაყოფილია სამ დონედ: I) მაღალი დონის ძირითადი პრინციპები; II) საშუალო დონის მხარდამჭერი პრინციპები და III) დაბალი დონის დებულებები.²⁵ მსგავსად გერმანული ანალოგისა, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსიც „დაემორჩილე ან განმარტე“ (com-

22 The UK Corporate Governance Code (amended and changes), London, 2015. <https://www.frc.org.uk/Our-Work/Publications/Corporate-Governance/UK-Corporate-Governance-Code-April-2016.pdf>

23 Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 916.

24 UK Listing Rules (amended and changes), London, 2016. 9.8. <https://www.handbook.fca.org.uk/handbook/LR.pdf>

25 Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917.

ply or explain) პრინციპის საფუძველზე მოქმედი სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოთხოვნების შესრულება არსებითად ნებაყოფლობითია.* ბრიტანული კორპორაციული მართვის კოდექსი სხვა „თვითრეგულირებადი“ დოკუმენტის საფუძველზე მოქმედი აქტია.²⁶ კერძოდ, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის „ფინანსური მართვისა და ზედამხედველობის ორგანოს“ (FCA – Financial Conduct Authority) მიერ შემუშავებული ე.წ. „გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის წესები“ (UK Listing Rules). წესები კომპანიათა მმართველი ბორდისაგან მოითხოვს, რომ დირექტორთა მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიში შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: თუ როგორ ნერგავენ ისინი კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს იმის დეტალური მითითებით, თუ რამდენად არის ასახული და რეალიზებული აღნიშნული პრინციპები კომპანიათა მართვის პოლიტიკაში, მათს კონკრეტულ და მიმდინარე ბიზნესსაქმიანობაში; რამდენად იზიარებს კომპანია კოდექსით მოცემულ ყველა უფრო დაბალი დონის დებულებას შეუსაბამობის მიზეზების ახსნით იმ შემთხვევაში, თუ დებულებათაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე არ არის გაზიარებული კომპანიის მიერ.²⁷ აღნიშნული კი, თავის მხრივ, მოწმობს იმას, რომ ფორმალურ დონეზე კოდექსის სავალდებულო

ხასიათი მასზე ბრიტანული ლისტინგის სავალდებულო წესებით დელეგირებულ ძალაუფლებაში გამოიხატება.²⁸

როგორც ვხედავთ, მსგავსად გერმანიისა, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსსაც გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. ბრიტანეთში სწორედ საფონდო ბირჟის ლისტინგის წესები აიძულებს აღნიშნულ ბირჟებზე მოქმედ კორპორაციებს, გაითვალისწინონ კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნები ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახსნან შეუსაბამობის მიზეზები.* თავის მხრივ, ამ წესების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათი არარსებობის შემთხვევაში ბრიტანული კორპორაციული მართვის კოდექსის გავლენის სფერო, ფაქტობრივად, განულდება.²⁹

გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის მნიშვნელობის ხარისხის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია სტატისტიკის მოხმობა. მოყოლებული 2011 წლიდან ბრიტანეთის „ფინანსური ანგარიშგების საბჭო“ (Financial Reporting Council) ყოველწლიურად აქვეყნებს „ანგარიშებს გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის გავლენისა და განხორციელების შესახებ.“

აღნიშნული ანგარიშების მიხედვით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე (FTSE 350) საფონდო ინდექსის ქვეშ მოქმედ უმსხვილეს კორპორაციათა მხრიდან კორპორაციული მართვის კოდექსის

* კომპანიებს დიდ ბრიტანეთშიც ევალებათ კორპორაციული მართვის კოდექსისეულ მოწესრიგებათა დაწესების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა. იხ. დოლიძე დ., 2015. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობა კორპორაციულ მართვაში. მართლმსაჯულება და კანონი, №5, გვ. 142-143.

26 Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917.

27 UK Listing Rules (amended and changes), London, 2016. 9.8.6(5)–(6); 9.8.7; 9.8.7A <https://www.handbook.fca.org.uk/handbook/LR.pdf> ასევე იხ. დოლიძე დ., 2015. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობა კორპორაციულ მართვაში. მართლმსაჯულება და კანონი, №5, გვ. 142.

28 Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917.

* „გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის წესები“ არის იმ მოწესრიგებათა და სავალდებულო სტანდარტების ერთობლიობა, რომელთა დაცვაც მოეთხოვება დიდ ბრიტანეთში საფონდო ბირჟაზე მოქმედ უკლებლივ ყველა კომპანიას. იხ. <http://www.fca.org.uk/firms/markets/ukla> სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარე ეწოდებათ აღნიშნულ წესებს თვითრეგულირებადი წესები. მათი საშუალებით საფონდო ბირჟების ბაზარი თვითრეგულირებადი სფერო ხდება.

29 Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge p. 917.

მოთხოვნების გაზიარების ხარისხი შემდგომად გამოიყურება:*

- ა. კოდექსის დებულებებს კომპანიის მმართველი ბორდის თავმჯდომარესა და აღმასრულებელ დირექტორებთან დაკავშირებით იზიარებდა: 2011 წელში კომპანიათა 96%, 2012 წ. – 97%, 2013 წ. – 94%, 2014 წ. – 96%, ხოლო 2015 წ. კი 99%;
- ბ. კოდექსით დაწესებულ მინიმალურ სტანდარტებს არააღმასრულებელ (NED) დირექტორთა რიცხვთან დაკავშირებით ემხრობოდა: 2011 წელში კომპანიათა 80%, 2012 წ. – 81%, 2013 წ. – 87%, 2014 წ. – 90%, ხოლო 2015 წ. კი 92%;
- გ. კოდექსით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს აუდიტის კომიტეტის შემადგენლობასთან დაკავშირებით იზიარებდა: 2011 წელს კომპანიათა 92%, 2012 წ. – 90%, 2013 წ. – 92%, 2014 წ. – 94%, ხოლო 2015 წ. კი 97%;
- დ. კოდექსში მოცემულ მინიმალურ სტანდარტებს ანაზღაურების კომიტეტის შემადგენლობასთან დაკავშირებით ემხრობოდა: 2011 წელს კომპანიათა 91%, 2012 წ. – 89%, 2013 წ. – 92%, 2014 წ. – 91%, ხოლო 2015 წ. კი 95%;
- ე. კოდექსით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს ნომინაციის კომიტეტის შემადგენლობასთან დაკავშირებით იზიარებდა: 2011 წელს კომპანიათა 94%, 2012 წ. – 95%, 2013 წ. – 96%, 2014 წ. – 96%, ხოლო 2015 წ. კი 98%.

როგორც ვხედავთ, მსგავსად გერმანიისა, კორპორაციული მართვის კოდექსს გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის სისტემაშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქ ის მიიჩნევა კორპორაციული მართვის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ, რომელიც ნორმატიული ბაზის საფუძველზე მოქმედებს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბრიტანეთში ნამდვილად შეინიშნება კორპორაციათა

მიერ კოდექსის დებულებათა გაზიარების მზარდი ტენდენცია. ანუ, სტატისტიკით დგინდება, რომ მასში მოცემული თითოეული პოზიციის მნიშვნელობის ხარისხი ყოველწლიურად იზრდება. მიუხედავად კორპორაციული მართვის კოდექსის არასავალდებულო ხასიათისა, მისი დებულებები, მსგავსად გერმანიისა, მათი თვისებრიობის გამო ბრიტანეთშიც, ფაქტობრივად, სავალდებულოდ იქცევა. ისინი რეიფიცირებადია, ანუ მათ აუცილებელი და საყოველთაო მოთხოვნა გააჩნიათ.

ევროკავშირი

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ევროკავშირის მიდგომა სახელმწიფოთა მხრიდან კორპორაციული მართვის შიდა კოდექსების დანერგვასთან დაკავშირებით პოზიტიურია, ევროპაში, პირდაპირი გაგებით, ჯერაც არ არსებობს ერთიანი კორპორაციული მართვის ევროპული კოდექსი.*

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, განვიხილოთ 2002 წელს კორპორაციული სამართლის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა მიერ გამოქვეყნებული ანგარიში „ევროპულ კორპორაციულ მართვაში მოქმედ თანამედროვე ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზასთან დაკავშირებით“, რომელიც ე.წ. „Winter Report 2002“ სახელწოდებითაა ცნობილი. სწორედ აღნიშნული ანგარიში იქცა კორპორაციული მართვის სფეროში 2003 წელს გამოცემული ევროკავშირის სამოქმედო გეგმის მთავარ საფუძვლად.³⁰ ანგარიშში ევროკავშირის

* ევროკავშირი აქტურად მუშაობს დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფენ წევრ სახელმწიფოთა მხრიდან მათი კორპორაციული მართვის კოდექსებში მოცემული დებულებების გაზიარებას. იხ. European Commission Action Plan 2012: European company law and corporate governance – a modern legal framework for more engaged shareholders and sustainable companies, Strasbourg. ასევე იხ. The European Commission Recommendation on the quality of corporate governance reporting (“comply or explain”), (2014/208/EU).

* დეტალურად იხ. <https://www.frc.org.uk/Our-Work/Codes-Standards/Corporate-governance/UK-Corporate-Governance-Code.aspx>

30 Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate gov-

შორის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აქციონერთათვის ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება.

აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისად ნათელი, ზუსტი და ყოვლისმომცველი, რათა აქციონერებს, ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცეთ, შეეფინათ ადეკვატური წარმოდგენა, თუ როგორ იმართება კომპანიები. გარდა ამისა, მან უნდა ცხადყოს კომპანიის ისეთი კონკრეტული მახასიათებლები და მდგომარეობა, როგორებიცაა: ზომა, სტრუქტურა, საკუთრება ან მისი სხვა შესაბამისი ფუნქციები.³⁵

ამავე დოკუმენტის II ნაწილის მე-6 პარაგრაფის თანახმად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციასთან დაინტერესებული პირების ადვილი წვდომა, კომპანიებმა კორპორაციული მართვის ანგარიშები (დეკლარაციები) თავიანთ ვებ-გვერდებზე უნდა განათავსონ.*

კორპორაციული მართვის კოდექსის მოწესრიგებათა გაუზიარებლობის განმარტების ხარისხის საკითხს უშუალოდ შეეხება რეკომენდაციის III ნაწილი. კერძოდ:

რეკომენდაცია, ამ შემთხვევაშიც ევროკავშირის დირექტივა (Directive 2013/34/EU), მუხლი 20(1)-ზე მითითებით ევროგაერთიანების სახელმწიფოთა საფონდო ბირჟების ლისტინგში განთავსებულ კომპანიათაგან მოითხოვს, განმარტონ იმ კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემულ ცალკეულ რეკომენდაციათაგან გადახვევის მიზეზები, რომლებიც მათ მიერ ნებაყოფლობითაა აღიარებული.³⁶

35 The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain”), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section II, 5. P. 46. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208>

* დღეისათვის აღნიშნული მოწესრიგება კარგად არის აპრობირებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმსხვილესი სააქციო საზოგადოებების მიერ, რომლებიც ყოველწლიურად აქვეყნებენ კორპორაციული მართვის ანგარიშებს თავიანთ ვებ-გვერდებზე იხ. <http://www.bayer.com/en/corporate-governance.aspx>; <http://www.bp.com/en/global/corporate/investors/governance/governance-report-2015.html>

36 The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance

რეკომენდაციის III ნაწილის მე-8 პარაგრაფის თანახმად, კომპანიებმა ნათლად უნდა განაცხადონ, თუ რომელ კონკრეტულ რეკომენდაციებს გამოეყვნენ. ამასთან ერთად გამოყოფის ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა ახსნან, რაც გულისხმობს:

- ა. ახსნას, თუ რა გზით დატოვა კომპანიამ რეკომენდაცია;
- ბ. რეკომენდაციიდან გასვლის მიზეზთა აღწერას;
- გ. აღწეროს, თუ როგორი ფორმით იქნა მიღებული გადაწყვეტილება რეკომენდაციის გაუზიარებლობის შესახებ კომპანიის შიგნით;
- დ. განმარტოს, აღნიშნული გასვლა ხომ არ მოიცავს დროის გარკვეულ პერიოდს, რომლის დამთავრების შემდეგაც კომპანია გეგმავს რეკომენდაციის გათვალისწინებას;
- ე. საჭიროების შემთხვევაში აღწეროს, თუ რამდენად იქონია გასვლენა კონკრეტული რეკომენდაციის გაუზიარებლობამ კომპანიის ეფექტურ კორპორაციულ მართვაზე.

კორპორაციული მართვის კოდექსების ცალკეული რეკომენდაციების გაუზიარებლობის განმარტებები ნათლად უნდა იქნას ასახული კორპორაციული მართვის ანგარიშებში, რათა აქციონერებმა, ინვესტორებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა ადეკვატურად შეაფასონ ის შედეგები, რომლებიც კონკრეტულ რეკომენდაციათაგან გადახვევის შემთხვევაში დგება.³⁷

როგორც ვხედავთ, რბილი სამართლის მნიშვნელობა თანამედროვე ევროპულ კორპორაციულ მართვაში საკმაოდ დიდი და მზარდია. სწორედ ამით აიხ-

reporting (“comply or explain”), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section III, 7. P. 46. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208>

37 The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain”), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section III, 9. 10. P. 46 – 47. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208>

სნება ევროკავშირის კორპორაციული სამართლის პოზიტიური დამოკიდებულება კორპორაციული მართვის კოდექსებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, აქ განხორციელებულია კორპორაციული მართვის ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის შინაარსობრივი მხარის ხარისხის გაუმჯობესების მცდელობა. ანუ, ევროგაერთიანება ცდილობს, საკუთარ საკორპორაციო სამართალში დანერგოს წესრიგი, რომლის თანახმადაც კომპანიები „დამორჩილენ ან განმარტენ“ პრინციპით სარგებლობას შესაბამისი დასაბუთების

საფუძველზე უნდა ახორციელებდნენ. აღნიშნული უთუოდ ხელს უწყობს კორპორაციული მართვის კოდექსების დებულებათა განხროციელების ალბათობას და მაქსიმალურად გამორიცხავს კორპორაციათა მხრიდან კოდექსის მოთხოვნათა გაუზიარებლობის, ფორმალურ და ზედაპირულ განმარტებას. ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ ევროპული საკორპორაციო სამართალი აქცენტს კორპორაციული მართვის კოდექსების რეალურ მოქმედებაზე აკეთებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული ი., 2013. სააქციო სამართლის საფუძველები II ტომი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.

SOFT LAW AS A MODERN EUROPEAN METHOD FOR THE REGULATION OF CORPORATE GOVERNANCE

David Dolidze

*PhD student, Georgian American University (GAU),
Gori State Teaching University. Invited specialist*

KEY WORDS: code, compliance, explanation

RESUME

Using a comparative legal study and based on the samples of Germany, The UK and EU system of corporate governance, this article reviews the importance of soft law in the field of corporate governance. The main problem, solving of which is tried by respective European regulation, is a real and proper operation of soft law in corporate governance codes.

This appears to be the basis of the recommendations made by the European Commission regarding the quality of corporate governance reporting. The part of the document focuses on the growth of the principle “comply or explain,” under which the companies share either corporate governance requirements under respective codes or properly substantiate reasons of not sharing it. This information is published in the annual corporate governance reports. Publication of such reports is obligatory for large corporations in Germany and The UK.

Thus, regardless of the nature of the recommendation, as the European Union and its member states are actively trying to drive corporate governance in accordance with the legal framework to establish the basis of the regulation, by which they’ll give the soft law, and corporate governance codes, a high degree of legitimacy. Therefore, they provide better chance for undertaking the code provisions by the companies. Furthermore, there are obvious tendencies of rising the soft law as an alternative method for legal regulation of corporate governance.

NOTES:

1. Chanturia L., 2006. Corporate Governance and Liability of Directors in Corporation Law. Publisher Samartali, Tbilisi P. 127. (GEO) Also see Makharoblishvili G., 2015. General Review of Corporate Governance, Publisher World of Lawyers, Tbilisi. P. 193. (In Georgian)
2. Makharoblishvili G., 2015. General Review of Corporate Governance, Publisher World of Lawyers, Tbilisi P. 193. (In Georgian)
3. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148. (In English)
4. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148. (In English)
5. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148. (In English)
6. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148. (In English)
7. Isaev D.V., 2008. Corporate Governance Codes and Transparency of Companies. The Financial Newspaper, №17, P. 2. (RUS) Also see Makharoblishvili G., 2015. General Review of Corporate Governance, Publisher World of Lawyers, Tbilisi. P. 196. (In Georgian)
8. Aguilera R. V., Cuervo-Cazurra A., 2004. Codes of Goode Governance Worldwide: What is the Trigger?. Organization Studies, Vol. 25, No. 3, P. 421. (In English)
9. Cicon J.E., Ferris S.P., 2008. European Corporate Governance Codes: An Empirical Analysis of Their Content, Variability and Convergence. P. 1. (In English)
10. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148. (In English)
11. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148. (In English)
12. German Corporate Governance Code (amended and changes), Berlin, 2015. p.1. <http://www.dcgk.de/en/code.html> (In English)
13. Merket H., 2013. Germany Internal and external corporate governance. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 523. (In English)

14. Merket H., 2013. Germany Internal and external corporate governance. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 523. (In English)
15. Dolidze D., 2015. Independence of Supervisory Board Members of a Joint Stock Company in Corporate Management. Justice and Law, №5, P. 139. (In Georgian)
16. German Stock Corporation Act (including amendments and changes), Berlin, 1965. §161. <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/> (In German)
17. Dolidze D., 2015. Independence of Supervisory Board Members of a Joint Stock Company in Corporate Management. Justice and Law, №5, P. 134. (In Georgian)
18. Werder A. v., Talaulicar T., 2009. Code Report 2009: Acceptance of the Recommendations and Suggestions of the German Corporate Governance Code. The operation booklet 14 from 3. 4. II 62. P. 689. (In German)
19. Werder A. v., 2010. Code Report 2009: Acceptance of the Recommendations and Suggestions of the German Corporate Governance Code. The operation booklet, N. 16, P. 854. (In German)
20. Werder A. v., 2013. Corporate Governance Report 2013: Deviation and independence of the Acceptance and Application of the current German Corporate Governance Code. The operation booklet, N. 17, P. 886. (In German)
21. Werder A. v., Bartz J., 2014. Corporate Governance Report 2014: Declared acceptance of the Code and actual application to the remuneration of the Management Board and the independence of the Supervisory Board. The operation booklet, N. 17, P. 907. (In German)
22. The UK Corporate Governance Code (amended and changes), London, 2016. <https://www.frc.org.uk/Our-Work/Publications/Corporate-Governance/UK-Corporate-Governance-Code-April-2016.pdf> (In English)
23. Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 916. (In English)
24. UK Listing Rules (amended and changes), London, 2016. 9.8. <https://www.handbook.fca.org.uk/handbook/LR.pdf> (In English)
25. Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917. (In English)
26. Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917. (In English)
27. UK Listing Rules (amended and changes), London, 2016. 9.8.6(5)–(6); 9.8.7; 9.8.7A <https://www.handbook.fca.org.uk/handbook/LR.pdf> (ENG) Also see Dolidze D., 2015. Independence of Supervisory Board Members of a Joint Stock Company in Corporate Management. Justice and Law, №5, P. 142. (In English)
28. Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917. (In English)

29. Moore M.T., 2013. United Kingdom The scope and dynamics of corporate governance regulation. *Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis*. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 917. (In English)
30. Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. *International Journal of Disclosure and Governance*, Volume 1, No. 2, P. 147. (In English)
31. Report of the High level Group of Company Law Experts on a Modern Regulatory Framework for Company Law in Europe, 2002. Brussels, P. 72. <http://www.ecgi.org/publications/winter.htm> (In English)
32. Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC, 2013, Official Journal of the European Union, L182, Article 20, P. 38-39. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32013L0034> (In English)
33. The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain“), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section I, 1. P. 45. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208> (In English)
34. The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain“), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section I, 1. P. 46. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208> (In English)
35. The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain“), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section I, 1. P. 46. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208> (In English)
36. The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain“), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section I, 1. P. 46. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208> (In English)
37. The European Commission Recommendation of 9 April 2014 on the quality of corporate governance reporting (“comply or explain“), 2014, Official Journal of the European Union, L109, Section I, 1. P. 46 – 47. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014H0208> (In English)

Bibliography:

1. Burduli I., 2010. *Foundations of Corporate Law II Volume*, Publisher Meridiani, Tbilisi. (In Georgian)